ევროკავშირი
საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის
განვითარების ხელშეწყობა

care®

GFA-ISET ანალიტიკა

კიტრი და პომიდორი

WITH FUNDING FROM
AUSTRIAN
DEVELOPMENT
COOPERATION

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

ISET
International School of Economics at TSU
Policy Institute

ივლისი, 2017

კიტრი და პომიდორი

კიტრისა და პომიდვრის წარმოება მსოფლიოში

კიტრი (Cucumis sativus) გოგრისებრთა ოჯახის ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, რომელიც მსოფლიოში სამხრეთ აზიიდან გავრცელდა. მისი ნაყოფი გამოიყენება როგორც პიკულების დასამზადებლად, ისე ნედლადაც და, პომიდორთან ერთად, ტრადიციული ქართული სალათის განუყოფელ ნაწილად ითვლება. **პომიდორი** (Solanum lycopersicum), თავის მხრივ, ძაღლყურძენასებრთა ოჯახის ერთწლოვანი მცენარეა, რომელსაც აქვს გემოვნური თვისებებით გამორჩეული და წვნიანი ნაყოფი. სავარაუდოდ, სწორედ ამის გამო უწოდეს მას იტალიელებმა სახელად „ოქროს ვაშლი“ (pomi – ვაშლი, d'oro – ოქროსი, ოქროსგან დამზადებული).

კიტრისა და პომიდვრის წარმოება ბოლო წლების განმავლობაში განუწყვეტლად და თანაბარი ტემპით იზრდება, რაც მჭიდროდ უკავშირდება სასათბურე მეურნეობების განვითარებას მსოფლიოში. სათბურები იცავს კიტრისა და პომიდვრის მოსავალს არახელსაყრელი კლიმატური პირობებისგან და ხელმისაწვდომს ხდის ამ მოთხოვნად პროდუქტებს მომხარებლისათვის მთელი წლის განმავლობაში. შედეგად, 2000-2014 წლებში კიტრის წარმოება თითქმის გაორმაგდა (38 მლნ. ტონა 2000 წელს, 75 მლნ. ტონა 2014 წელს), ხოლო პომიდვრის წარმოებამ დაახლოებით 50%-ით იმატა (110 მლნ. ტონა 2000 წელს, 171 მლნ. ტონა 2014 წელს).

გრაფიკი 1: კიტრისა და პომიდვრის წარმოება მსოფლიოში (მლნ. ტონა)



წყარო: FAOSTAT (2017 წლის 14 აგვისტოს მონაცემებით)

გაეროს საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO-ის) მონაცემებით, კიტრის წარმოებით ცალსახად ლიდერობს **ჩინეთი** (56.9 მლნ. ტონა), რომელზეც 2014 წელს კიტრის მსოფლიო წარმოების ¾ ნაწილი მოდიოდა. იმავე წელს, კიტრის წარმოებით

გამოირჩეოდნენ **რუსეთი** (1.8 მლნ. ტონა), **ირანი** (1.8 მლნ. ტონა), **თურქეთი** (1.8 მლნ. ტონა) და **უკრაინაც** (0.9 მლნ. ტონა). რაც შეეხება პომიდვრის მთავარ მწარმოებლებს, 2014 წელს ამ მხრივაც **ჩინეთი** (52.6 მლნ. ტონა) ლიდერობდა, რომელმაც პომიდვრის მსოფლიო წარმოების დაახლოებით 30% უზრუნველყო. შემდეგ მოდიოდნენ **ინდოეთი** (18.7 მლნ. ტონა), **აშშ** (14.5 მლნ. ტონა), **თურქეთი** (11.9 მლნ. ტონა), **ეგვიპტე** (8.3 მლნ. ტონა) და სხვა ქვეყნები.

კიტრისა და პომიდვრის ექსპორტ-იმპორტი მსოფლიოში

2016 წელს საერთაშორისო ბაზარზე ყველაზე მეტი რაოდენობით კიტრი მექსიკამ გაყიდა (694 ათასი ტონა), ხოლო ყველაზე მეტი შემოსავალი მსგავსი აქტივობებიდან ესპანეთმა მიიღო (609 მლნ. აშშ დოლარი). კიტრის სხვა მთავარი ექსპორტიორები ამავე წელს იყვნენ ნიდერლანდები, კანადა და ჩინეთი, რომელთა ჯამურმა ექსპორტმა 2016 წელს 565 ათას ტონას გადააჭარბა და აღნიშნულ სამ ქვეყანას ჯამურად 644 მლნ. აშშ დოლარზე მეტი შემოსავალი მოუტანა.

გრაფიკი 2: კიტრის მთავარი ექსპორტიორი ქვეყნები მსოფლიოში



წყარო: trademap.org (2017 წლის 14 აგვისტოს მონაცემებით)

2016 წელს მექსიკა საერთაშორისო ბაზარზე ლიდერობდა გაყიდული პომიდვრის როგორც რაოდენობით, (1.7 მლნ. ტონა) ისე ღირებულებით (2.1 მილიარდი აშშ დოლარი), დანარჩენ ადგილებს კი პომიდვრის მთავარი ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში ინაწილებდნენ ნიდერლანდები, ესპანეთი, მაროკო და თურქეთი. აღსანიშნავია, რომ ნიდერლანდებმა და ესპანეთმა, მექსიკის მსგავსად, 2016 წელს პომიდვრის ექსპორტით 1 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი შემოსავალი მიიღეს, მაგრამ მათი ექსპორტის რაოდენობას 1 მილიონი ტონისათვის არ გადაუჭარბებია.

გრაფიკი 3: <u>პომიდვრის</u> მთავარი <u>ექსპორტიორი</u> ქვეყნები მსოფლიოში



წყარო: trademap.org (2017 წლის 14 აგვისტოს მონაცემებით)

რაც შეეხება კიტრისა და პომიდვრის მთავარ იმპორტიორ ქვეყნებს, მათ რიგებში 2016 წელს ლიდერობდნენ აშშ და გერმანია. აშშ-მა შარშან 0.9 მლნ. ტონა კიტრისა და 1.8 მლნ. ტონა პომიდვრის იმპორტი განახორციელა, რაზეც ჯამურად 3.1 მილიარდი აშშ დოლარი დახარჯა. ანალოგიური მაჩვენებლები გერმანიისთვის იყო, შესაბამისად, 0.5 ტონა, 0.7 ტონა და 1.8 მილიარდი აშშ დოლარი. აღსანიშნავია, რომ კიტრის ან პომიდვრის სხვა მთავარი იმპორტიორებიც ევროპული ქვეყნები იყვნენ.

გრაფიკი 4: <u>კიტრის</u> მთავარი <u>იმპორტიორი</u> ქვეყნები მსოფლიოში



წყარო: trademap.org (2017 წლის 14 აგვისტოს მონაცემებით)

გრაფიკი 5: პომიდვრის მთავარი იმპორტიორი ქვეყნები მსოფლიოში



წყარო: trademap.org (2017 წლის 14 აგვისტოს მონაცემებით)

კიტრისა და პომიდვრის წარმოება საქართველოში

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მონაცემებით, ბოლო 10 წლის განმავლობაში, მსოფლიოს საერთო ტენდენციისგან განსხვავებით, საქართველოში არ შეინიშნებოდა არც კიტრისა და არც პომიდვრის წარმოების მოცულობის ზრდა. მეტიც, გასულ წელს საქართველოში იწარმოა 18.7 ათასი ტონა კიტრი და 54.1 ათასი ტონა პომიდორი, რაც 2006 წელს ამ პროდუქტების წარმოების, შესაბამისად, 96.4% და 77.4%-ს შეადგენდა. კიტრისა და პომიდვრის წარმოების ასეთი ცვლილება აიხსნება ბოსტნეულისა და ბაღჩეულის ნათესი ფართობების შემცირებით (32.9 ათასი ჰა 2006 წელს და 18.8 ათასი ჰა 2016 წელს), რაც ნაწილობრივ დააკომპენსირა საჰექტარო მოსავლიანობის გაუმჯობესებამ.

FAO-ის მონაცემებით, 2006-2014 წლებში საშუალოწლიურად საქართველოში კიტრის საჰექტარო მოსავლიანობა 431 კგ-ით, პომიდვრისა კი 738 კგ-ით იზრდებოდა, რისი წყალობითაც 2014 წელს მოსავლიანობის აბსოლუტურმა მაჩვენებელმა ქვეყანაში, შესაბამისად, 5.4 ტ/ჰა (კიტრი) და 11.4 ტ/ჰა (პომიდორი) სიდიდეებს მიაღწია. ამის მიუხედავად, საქართველო თავის მეზობლებთან შედარებით მაინც არასახარბიელო მდგომარეობაშია. *აზერბაიჯანი, რუსეთი, თურქეთი* და *სომხეთი* კიტრის საჰექტარო მოსავლიანობით 2006-2014 წლების გასაშუალოებული მონაცემებით, საქართველოს, შესაბამისად, 2.8-ჯერ, 3.8-ჯერ, 5.4-ჯერ და 6.0-ჯერ უსწრებენ, პომიდვრის შემთხვევაში კი მსგავსი ჩამორჩენა აღნიშნულ ქვეყნებთან 1.7-ჯერ, 1.9-ჯერ, 3.6-ჯერ და 4.2-ჯერ დიდია.

გრაფიკი 6: კიტრისა და **პომიდვრის** წარმოება საქართველოში



წყარო: საქსტატი (2017 წლის 14 აგვისტოს მონაცემებით)

კიტრითა და პომიდვრით საგარეო ვაჭრობა საქართველოში

საქსტატის მონაცემებით, საქართველოდან კიტრის ექსპორტი 2000-2014 წლებში უმნიშვნელო იყო და მის ღირებულებას 10 ათასი აშშ დოლარისთვის არ გადაუჭარბებია, ხოლო 2007-2010 წლებში ქართული კიტრი ექსპორტზე საერთოდ არ გასულა. მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა 2015 წლიდან, როცა კიტრის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა 131 ათას აშშ დოლარს გადააჭარბა. აღნიშნული სიდიდე 2016 წელს უკვე თითქმის ნახევარი მილიონი აშშ დოლარი იყო. კიდევ უფრო ოპტიმისტურია 2017 წლის მაჩვენებლები, რადგან კიტრის ექსპორტით, წლის მხოლოდ პირველი ნახევარში ქვეყანამ უკვე მიიღო 502 ათასი აშშ დოლარის შემოსავალი, მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ექსპორტი არადივერსიფიცირებულია და 2015-2017 წლების ექსპორტის აბსოლუტური უმრავლესობა რუსეთზე მოდის.

კიტრის ექსპორტის მსგავსი დინამიკით ვითარდებოდა 2000-2017 წლებში საქართველოდან პომიდვრის ექსპორტიც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ პომიდვრის ექსპორტით ქვეყანა დაახლოებით 8-ჯერ უფრო მეტ შემოსავალს იღებდა. აღნიშნული პერიოდიდან აღსანიშნავი იყო 2004 წელი, როცა საქართველოში პომიდვრის წარმოებამ ბოლო ათწლეულების მაქსიმალურ სიდიდეს (FAO-ის მონაცემებით, 170 ათას ტონას) მიაღწია და აღნიშნული პროდუქტის ექსპორტმაც ქვეყანას მნიშვნელოვანი შემოსავალი (510 ათას აშშ დოლარი) მოუტანა. რაც შეეხება უშუალოდ 2016 და 2017 წლებს, შარშან საქართველომ საერთაშორისო ბაზარზე გაყიდა 2.2 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პომიდორი, ხოლო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში პომიდვრის ექსპორტის ღირებულებამ უკვე მიაღწია რეკორდულ ნიშნულს და 3.6 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ რუსეთი მთავარი საექსპორტო ბაზარია ქართული პომიდვრისთვისაც, მას შემდეგ რაც აზერბაიჯანმა 2014 წლიდან დაკარგა მსგავსი სტატუსი.

ექსპორტისგან განსხვავებით, კიტრისა და პომიდვრის იმპორტი საქართველოში მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი დინამიკით ვითარდებოდა და ნაბიჯ-ნაბიჯ იზრდებოდა. შედეგად, 2016 წელს საქართველოში დაფიქსირდა კიტრისა და პომიდვრის ბოლო ათწლეულის რეკორდულად დიდი მოცულობის იმპორტი (შესაბამისად, 8.8 ათასი ტონა კიტრი და 21.9 ათასი ტონა პომიდორი). ამის მიუხედავად, ყველაზე ხარჯიანი კიტრისა და პომიდვრის იმპორტის თვალსაზრისით ქვეყნისთვის გამოდგა 2014 წელი, როცა კიტრის იმპორტზე დაიხარჯა 4.5 მილიონი აშშ დოლარი, პომიდვრის იმპორტზე კი — 11.7 მილიონი აშშ დოლარი.

გრაფიკი 7: კიტრის იმპორტი საქართველოში



წყარო: საქსტატი (2017 წლის 16 აგვისტოს მონაცემებით)
trademap.org (2017 წლის 4 აგვისტოს მონაცემებით)

გრაფიკი 8: პომიდვრის იმპორტი საქართველოში



წყარო: საქსტატი (2017 წლის 16 აგვისტოს მონაცემებით)
trademap.org (2017 წლის 4 აგვისტოს მონაცემებით)

კიტრისა და პომიდვრის მწარმოებელთა ფასები საქართველოსა და ევროკავშირში

FAO-ის მონაცემებით, 2006-2015 წლებში კიტრისა და პომიდვრის საშუალო საბითუმო ფასები (იგივე, „მწარმოებელთა ფასები“) ევროკავშირში წლიდან წლამდე ერთნაირი მიმართულებით იცვლებოდა ხოლმე. ვითარება მსგავსი იყო საქართველოშიც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ საქართველოში უმეტესწილად კიტრის საბითუმო ფასი აჭარბებდა პომიდვრის საბითუმო ფასს, ევროკავშირში კი პომიდვრის საბითუმო ფასი ყოველთვის უფრო მაღალ დონეზე ნარჩუნდებოდა. შესაბამისად, ბოლო ათწლეულში ევროპელი ფერმერები კიტრს თავიანთ ქართველ კოლეგებთან შედარებით თითქმის ორმაგ ფასად ყიდდნენ, ხოლო მსგავსი შეფარდება პომიდვრის ფასებისათვის 2.8-ს აღემატებოდა.

კიტრისა და პომიდვრის საბითუმო ფასებს შორის არსებული სხვაობა საქართველოსა და ევროკავშირში ნაწილობრივ აიხსნება ევროკავშირის მკაცრი მოთხოვნებით საკვები პროდუქტების ხარისხისადმი, მაგრამ ფაქტი მაინც საყურადღებოა და ქართული კიტრისა თუ პომიდვრის საფასო კონკურენტუნარიანობაზე მიანიშნებს. ამ უპირატესობის გამოყენებით ქართველ ფერმერებმა და მთლიანად ქვეყანამ 2015-2016 წლებში უკვე მიიღეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი, მაგრამ წარმოების შესაბამისი სტანდარტების დაცვით, შესაძლებელია ევროკავშირის ბაზრიდან კიდევ უფრო მეტი სარგებლის მიღება.

გრაფიკი 9: კიტრისა და პომიდვრის <u>საბითუმო ფასები</u> საქართველოსა და ევროკავშირში

(აშშ დოლარი/ტონა)



წყარო: FAOSTAT (2017 წლის 16 აგვისტოს მონაცემებით)

კიტრისა და პომიდვრის სამომხმარებლო ფასები საქართველოში

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების შეგროვებული მონაცემების თანახმად, ადგილობრივი წარმოების კიტრის საცალო (სამომხმარებლო) ფასი მკვეთრი სეზონურობით ხასიათდება და იგი დაახლოებით 4-ჯერ უფრო მაღალია ზამთარში, ვიდრე ზაფხულში. განსხვავებულია ფასი კიტრის სახეობის მიხედვითაც — ბოლო 12 თვის მაჩვენებლების გათვალისწინებით, 1 კგ. ე.წ. შუშა კიტრის საცალო ფასი დაახლოებით 17 თეთრით აღემატებოდა 1 კგ. ხორკლიანი კიტრის საცალო ფასს.

გრაფიკი 10: კიტრის სამომხმარებლო (საცალო) ფასები საქართველოში (ლარი/კგ.)



წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საცალო ფასები განსხვავებულია სეზონისა და პომიდვრის სახეობის მიხედვითაც. ქართული პომიდორი თითქმის 2.5-ჯერ ძვირია ზამთარში, ვიდრე ზაფხულში. ვარდისფერი პომიდორი კი სულთნის ან ჭოპორტულას ტიპის პომიდორთან შედარებით ყოველთვის ინარჩუნებს დაახლოებით 1 კგ-ზე 0.73 ლარიან სხვაობას.

გრაფიკი 11: პომიდვრის <u>სამომხმარებლო</u> (საცალო) ფასები საქართველოში (ლარი/კგ.)



წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აგვისტო, 2017 წელი

ევროკავშირი
საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის
განვითარების ხელშეწყობა

პროექტი მხარდაჭერილია ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამის მიერ. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან და მისი მთავარი მიზანია სოფლად სიღარიბის შემცირება საქართველოში, სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების მხარდაჭერის გზით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ www.enpard.ge

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის დახმარებით.
მის შინაარსზე პასუხისმგებელია CARE და მისი პარტნიორები
- საქართველოს ფერმერთა ასოციაცია და ISET-PI.
პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.